2228/3-53/22 2 14032022

2228/3-53/22
14-03-2022

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს

ქალბატონ ნათია სულავას

ქალბატონო ნათია,

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ იმ დოკუმენტების ასლები, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს მთავრობის მხრიდან წერილობით ეთქვა უარი პარიზში, ბრიუსელში, ბერლინსა და ვარშავაში სამუსაო ვიზიტების გამართვაზე.

გთხოვთ, ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

№1729
17 / მარტი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2022 წლის 14 მარტის N2228/3-53/22 (პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის N1/2360, 14.03.2022) წერილის პასუხად გეგზავნებათ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 თებერვლის N6076 (პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის N1/1718, 27.02.2022) წერილით შემოსული „2022 წლის 27 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებულ წინადადებაზე უარის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 თებერვლის N364 განკარგულება.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი
ანგი ხუციშვილი